ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამშობლო

ხუთშაბათი
15 ოკტომბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათ შემდეგ 4 მან.

№ 199 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 199

ტელეფონი № 76. ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო"
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით
გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

1915 წ.
ოკტომბერი
15
ხუთშაბათი

ანონსი:
მზადდება
კ. მესხის „სამშობლოს სადილებლათ", ირეთელის—„ქრისტინე"

წარმოდგენა № 8.
„ქართული დრამა".
ქალაქის თეატრი.
დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე
1.
ჟრიის სისხლი.
3 მოქმედებ.
ავტორი ბერშტეინი—თარგმ. შალვა დადიანი.
2.
ხოლვერობა.
ვოდ. 1 მ. გუნიასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
რეჟისორი შალვა დადიანი.
ადმინისტრაცია „ქართული დრამის" ამხ-სა. 2—2

„სინათლის" საზოგადოების დედათა ქართულ სასწავლებელში მისაღები გამოცდები სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდე.
თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა „რუსეთი" („როსსია"), სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოების დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.

ქ. ქუთაისში ექიმი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
სერაფიონ მ. დადუნაშვილი
ღებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.
ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

ექიმი ზ. დ. ნახარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრების და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. ჩარეძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშველებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ

ელექტრო „რადიუმი" თეატრი
ხუთშაბათიდან, 15 ოკტომბრიდან ახალი ფართო პროგრამა.
სამხედრო ქრონიკა. სკობელევის კომიტეტისა 21 სერია, თეატრ „რადიუმის" მონოპოლია.
კოლოსალური სენსაცია!
მილიონების გიპნოზის გავლენის ქვეშ.
გაგრძელება 9 და 10 სერიისა 4 ნაწილათ.
უმთავრეს როლში მონაწილ. იღებს გამოჩენილი მსახ. ქალი პერლ ვიტტი.
იმ პირთ, ვისაც წინანდელი სერიები არ უნახავთ, შეუძლიათ მიიღონ კასაში მთელი აღწერა ნაჩვენები სერიებისა.
კიდევ დავინახავთ მინაა ჯაშუში. მხიარული კომედია პრენსის მონაწილ.

ანონსი: ორშაბათიდან, 18 ოკტ. ნაჩვენები იქნება სამი ბოევიკი განსაკუთრებული სენსაციური სურათი. 1. გერმანელების ფრონტის გარღვევა ფრანგებისაგან და ბრძოლით აღება გარტმანსვეილერსკოფისა. ბუნებიდან. 2. სიმღერა ძლევამოსილ სიყვარულისა. მხატვრ. დრამა 4 ნაწ., ტურგენევის მოთხრობიდან, ხოლოდნისა, პოლონსკისა და რუნიჩის მონაწილეობით. 3. იშვიათი ზამბახი. კომიკური, მაქს ლინდერის მონაწილეობით.

საშუალო სასწავლებლის უფროს კლასებისთვის, უმაღლეს დასწყისის 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძე ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

ვამზადებ უმაღლეს პირველ-დაწყებით სასწავლებლის 3—4 კლასისათვის, მეორე ხარისხის ვოლნოოპრედელიაიუშჩის მოწმობის და ჩინის მისაღებათ. ვარდგენ მოსწავლეთა ჯგუფს.
ნ. პ. გლოტოვი.
ძველი თფილისის ქ., მეორე უმაღლეს სასწავლებელი. 6—5.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

**პეტროგრადი.** 13 ოქტომბერი. უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან ოფიციალური. დასავლეთის ასპარეზი. რიგის რაიონის პირზე ბრძოლა გრძელდება. ბაბიტის ტბის სამხრეთით გერმანელებმა შემოუტიეს, მაგრამ ვერას გახდნენ. ოლაის რაიონში საარტილერიო სროლა იყო. ღვინას მარცხენა ნაპირას, სადგურ იქსკულის სამხრეთით გერმანელებმა კვლავ მიიტანეს რამდენიმე გაფთრებული იერიში. აქ ბრძოლა უმწვერვალესად განვითარდა. მოგერიებულ იქნა ხუთი გამძაფრებული იერიში გერმანელებისა; მეექვსე იერიშის დროს გერმანელების ნაწილი შემოიჭრა ერთ-ერთ სანგარში; ჩვენი ჯარი მედგრად და აუღელვებლად მოქმედებდა; შემოჭრილთა უმრავლესობა ხიშტებით იქნა განადგურებული, დანარჩენნი-კი დაატყვევეს. მეექვსე იერიშიც მოგერებულ იქნა. ფრიდრიხშტადტის რაიონში ღვინაზე წვრილმანი შეტაკება ხდებოდა. ღვინაზე მარცხენა ნაპირას, იაკობშტადტის ჩრდილო-დასავლეთით და ლივენგოფის დასავლეთით ტყიან რაიონშიც წვრილმანი რაზმების შეტაკება ხდებოდა. ღვინსკთან ილლუქსტის რაიონში შემოტევ გერმანელებთან გამწვავებული ბრძოლა არა სცხრება. ილლუქსტის დაპყრობის შემდეგ გერმანელები სცდილობდნენ შემოტევის განვითარებას, მაგრამ შეჩერებულ იქნენ ტყის პირას ილლუქსტის აღმოსავლეთით. ილლუქსტის სამხრეთით, სოფ. პოშილინას აღმოსავლეთით გერმანელები წინ წაწევას სცდილობდნენ, მაგრამ ჩვენი ჯარის სროლამ ხელი შეუშალა. ნოვო-ალექსანდროვის გზატკეცილის რაიონში, მედუმისა და მედბუსკოვის ტბების სამხრეთით საარტილერიო ბრძოლა გრძელდებოდა. აგრეთვე ძლიერი საარტილერიო ბრძოლა განვითარდა დემმენ—დრისვიატის ტბების პირზე. დრისვიატ-ბოგინსკოე-მიადელ—ნაროჩ—ვიშნევსკოეს ტბების პირზე შეტაკებანი მოხდა. უფრო დიდ ბრძოლათაგან შეიძლება აღინიშნოს: 1) ბრძოლა სოფ. ჯაგულესთან, ბოგინსკოეს ტბის დასავლეთით, საიდანაც მტერი განდევნილ იქნა; 2) სოფ. პეტრუშის დაპყრობა, კოზიანიდან დასავლეთით. დაბა სმორგონის რაიონში რამდენიმე რაზმი გერმანელებისა ადვილად იქნა გაფანტული. ტყიან ადგილებში კრაევოს სამხრეთით და ზემო ნემანზე მდებარე ხაზზე ლიუბჩის რაიონიდან კრომშინამდე, ბარანოვიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით სიწყნარეა. ჩვენმა არტილერიამ საუცხოვოდ დაუშინა მტრის კოლონებს, რომელნიც სოფ. რუსინით მოდიოდნენ. ოგინის არხზე ბრძოლა მოხდა სოფ. ბულკისთან, ვოლონოვსკოეს ტბის სამხრეთით. ბრძოლა გრძელდება. მტერმა კონტრ-იერიში მოიტანა დანაკარგის დასაბრუნებლად, მაგრამ ვერას გახდა. მდ. სტირის მარცხენა ნაპირის რაიონში, ნობელის ტბის სამხრეთით, რამდენიმე წვრილმანი შეტაკება მოხდა. კოზას ჰაობის (ბელოეს ტბის რაიონი) მახლობლად ბრძოლის დროს მტერმა ცოტათი შეავიწროვა ჩვენი ჯარი. მდ. სტირის მარცხენა ნაპირას, რაფალოვკის ჩრდილოეთით მტერი სცდილობდა შემოტევას, მაგრამ უკუგდებულ იქნა. მტერმა რამდენიმე ცხარე იერიში მიიტანა სოფელ კოლკისა და კომაროვის რაიონებში, ჩარტორიისკის დასავლეთით. ერთ ადგილას მტერმა ძლიერ შეგვავიწროვა, მაგრამ მალე მაშველი ჯარი დაგვეხმარა და ჩვენი პირი აღდგენილი იქნა; ამასთანავე კონტრ-იერიშების დროს ბევრი დავატყვევეთ. ჯერ-ჯერობით 1000 კაცია დატყვევებული. შემდეგ მდ. იკვას სამხრეთით ამ უკანასკნელის პირზე და ნ. ალექსინაცის რაიონში ბრძოლები არ ყოფილა. სრულიად საფუძვლიან საბუთის მიხედვით ნ. ალექსინაცთან მომხდარ ბრძოლებში მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. გალიციაში მდ. სტრიპაზე წვრილმანი შეტაკებანი მოხდა; ალაგ-ალაგ კი დნესტრის მარცხენა ნაპირის რაიონში საარტილერიო სროლა იყო, ჩერნოვიცის აღმოსავლეთით სიწყნარეა.

### კავკასიის ასპარეზი.

10 ოქტომბერს სოფ. ხოფას სამხრეთ-აღმოსავლეთით, ტორტუმის ტბასთან და ვანის ტბის სამხრეთ ნაპირას, სოფ. ვასტანთან, მოწინავე რაზმების შეტაკება მოხდა.

## ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

### რუმინეთის გამოსვლა მოახლოებულია.

სამხედრო მინისტრათ ნამყოფი კრაინიჩეანო „უნივერსულ"-ში თავის მორიგ წერილში გადაჭრით ამტკიცებს, რომ რუმინეთის გამოსვლის ჟამი მოახლოებულია. ბულგარეთი გამარჯვებისათანავე, უეჭველია, თავის უფლებას განაცხადებს საბერძნეთის მაკედონიაზე და დობრუჯაზე. ამიტომ რუმინეთს არავითარი ამოსარჩევი არა აქვს რა. მისი მიუცილებელი ინტერესები მოითხოვს დაუყონებლივ ომში ჩარევას. რუმინეთის აქტიური მოქმედების მომენტი დაკავშირებულია ბალკანეთის კუნძულზე სამხედრო მოქმედების განვითარებასთან და ამიტომ ეს მომენტი ძლიერ მოახლოებულია, ვიდრე ეს ზოგიერთებს გონიათ.

— შეერთდით, რუმინელებო. მოუწოდებს წერილის დასასრულს გენ. კრაინიჩეანო, და მზათ იყავით ომისთვის. მალე დაკრავს დიდიხნის ნანატრი დიდებული ჟამი.

### იტალიის მონაწილეობა.

„პტი ჟურნალს კომპეტენტიურ წყაროებიდან გაუგია, რომ იტალიამ საბოლოოთ გადასწყვიტა მონაწილეობა მიიღოს მოკავშირეთა ფლოტთან ერთად ეგეოს ზღვაში და ბულგარეთის სანაპიროების ბლოკადაში. ამას გარდა იტალიის ფლოტი გადასხამს მოკავშირეთა ჯარს სერბიის ფრონტზე, რაც შეეხება იმას, მიიღებს თუ არა იტალიის ჯარი მონაწილეობას ხმელეთზე ბალკანეთის ოპერაციების დროს,—ეს საკითხი ჯერ კიდევ დიპლომატების ხელში გადასაწყვეტად.

### ბულგარეთის მწვანე წიგნი.

ვენის გაზეთების ცნობით, ამ დღეებში ბულგარეთის მთავრობა გამოსცემს „მწვანე წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება დიპლომატიური მოლაპარაკება საბუთებით დამტკიცებული. ვენის ცნობით, მწვანე წიგნში უფრო მეტი ადგილი ექნება დათმობილი მოლაპარაკებას მაკედონიის საკითხის შესახებ. ამ წიგნის გამოქვეყნებას ამ დღეებში მოელიან.

### კართოფილის სექვესტრი პოლონეთში.

ბერლინის გაზეთები იტყობინებიან, რომ პოლონეთის სამეფოს სამოქალაქო ადმინისტრაციის უფროსის ფონ კრიზის განკარგულებით, იმ გუბერნიებიდან, რომელნიც გერმანელებისაგან ჩამორთმეულნი არიან, აკრძალულია კართოფილის, კარ-

თოფილის ფქვილისა და კრახმალის გაზიდვა სხვაგან. ამ განკარგულების ძალით კარტოფილის გატანა შეიძლება მხოლოდ ერთი გზიდან მეორე გზაში, ისიც უფროსის ნებართვით. ყველა „სდელკა" კარტოფილის სხვა ოლქებისათვის მიწვდის შესახებ გაუქმებულია. ავანსათ მიღებული ფული ამ „სდელკებისათვის" მოიჯარადრეებს უკან უნდა დაუბრუნდესო.

### ინგლისს—საფრანგეთის ჯარების გადასხმა სერბიის ფრონტზე.

„პოპოლო და იტალია", სოლონიკიდან მოსულ მგზავრების გადმოცემით, იტყობინება, რომ 80 დიდი ტრანსპორტი, რომელთაც სამხედრო გემები იცავენ, მარჯვეთ მოქმედობს ინგლის-საფრანგეთის ჯარების გადასასხმელათ სერბიის ფრონტზე. ეს ჯარი უმთავრესათ მოდის ტულონიდან და ალექსანდრიადან. კანადისა და ავსტრალიის ჯარები, რომელნიც გალიპოლის კუნძულისკენ უნდა გამგზავრებულიყვნენ, ახლა სალონიკისკენ მიდიან. საერთოდ ამ დღეებში გადასხმული იქნება 90000 ჯარის კაცი.

### ხმები იტალიის ჯარის გადასხმის შესახებ.

სალონიკიდან მოსული პირების გადმოცემით, იტალიის ჯარი დედაგაჩის ახლოს უკვე გადაუსხამს. ნიშში უკვე შეუდგენ მოქალაქეთა ევაკაუციას, ქალაქის თავზე თითქმის ყოველდღე ბულგარელებისა და გერმანელების ცეპელინები დაფრინავენ და ყუმბარებს ისვრიან; ყუმბარებისაგან უფრო ტყვე ავსტრიელები იხოცებიან.

### კლარა ცეტკინის გათავისუფლება.

„ბერლინერ ტაგებლატის" ცნობით, ამ დღეებში გაუთავისუფლებიათ კლარა ცეტკინი. იგი ოთხი თვის წინათ დაპატიმრებული იყო ზავის მოთხოვნის აგიტაციის გამო.

### ზაიმისისადმი მიმართვა.

გაზ. „ტრიბუნას" ცნობით, ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებს მიუმართავთ ზაიმისისათვის და ურჩევიათ მისთვის თავი დაენებებია ნეიტრალიტეტისთვის, რადგანაც მოკავშირენი ვერ მოითმენენ ორაზროვან მოქმედებას საბერძნეთისას და თუ საბერძნეთი თავის პოზიციას არ შესცვლის, მოკავშირენი მოითხოვენ საბერძნეთის ჯარის დემობილიზაციას (დაშლას), იარაღის ჩამორთმევას და საბერძნეთის სრულ დამორჩილებას.

### კვიპრის დათმობა.

„დეილ ქრონიკლი" ათინიდან იტყობინება, ინგლისის მთავრობა საბერძნეთს კვიპრს უთმობს. ასეთი დათმობა, როგორც დიპლომატიური წრეები ადასტურებენ, შედეგია მოკავშირეთა დიპლომატების საერთო მოლაპარაკებისა. კვიპრის დათმობისათვის საბერძნეთი თავის მხრით დაუყონებლივ უნდა შეუერთდეს ოთხთა შეთანხმებას.

### მაკენზენი მაშველ ჯარს თხოულობს.

„დეილ ტელეგრაფის" ცნობით, ავსტრო-გერმანელების ჯარების მთავარსარდალი გენ. მაკენზენი ჯარების მიშველებას თხოულობს. თავის მოთხოვნას მაკენზენი იმით ასაბუთებს, რომ სერბიელები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ და საქმეს უძნელებენ. ომში მონაწილეობას მშვიდობიანი მცხოვრებლებიც კი ღებულობენო. მაკენზენმა უკვე საჭირო მიიღო მაშველი ჯარი, ჯარის შესავსებათ. მიღებული ცნობით, ვრანიესთან ბრძოლის დროს ბულგარელებს 10000 კაცი დაუკარგავთ.

## რადოსლავოვის აზრი.

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის კონსტანტინოპოლელ კორესპონდენტ ლუდვიგს უსაუბრია რადოსლავოვთან სოფიაში შევლის დროს. საუბრიდან აშკარათ სჩანს რადოსლავოვის ლაქიობა გერმანიისა და ოსმალეთის წინაშე.

რადოსლავოვი შეეკითხა ბერლინის გაზეთების კორესპონდენტს, მშვიდობიანობაა თუ არა ოსმალეთში და როგორ ცხოვრობს მისი პირადი მეგობარი თალაათ—ბეი.

— ის მართავს მაგრათ—უპასუხა ლუდვიგმა და უჩვენა მუშტი. რადოსლავოვი მიხვდა და გაიღიმა.

— ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის აწი არავითარი უნდობლობა აღარ არსებობს, განაცხადა რადოსლავოვმა. ცენტრალურ სახელმწიფოებს ჩვენ გავუადვილეთ სერბიის გარღვევა და ეს უმთავრესათ ოსმალეთის სასარგებლოთ მოვიმოქმედეთო. შემდეგ ლუდვიგი შეეკითხა რადოსლავოვს—მიიღებს თუ არა რუსეთი ბალკანეთის ომში მონაწილეობას?

— ძალიან ვეჭვობ ამაში, უპასუხა რადოსლავოვმა.

— გაუშვებს თუ არა რუსეთის ჯარს თავის ტერიტორიაზე რუმინეთი?

— ეს უფრო არაა საეჭვო, მიუგო რადოსლავოვმა. მაგრამ ჩვენი მტრები ძლიერ სცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ რუსეთის ჯარის გამოჩენა ბალკანეთში შეარყევს ბულგართა ჯარისკაცების სიმტკიცეს: ჩვენი ჯარი ყველას ერთნაირათ შეებრძოლება, ვინც უნდა იყოს იგი; მან იცის მხოლოდ მტერი, როგორც მტერი.

— ფრანგებმა ხელახლათ გადასხეს ჯარი სალონიკში,—განაგრძო რადოსლავოვმა. ათინიდან მოსული დეპეშში კი გადმოგვცემენ რო იქ ჯერჯერობით მშვიდობიანობა, თუმცა არ შეიძლება დავემყაროთ საბერძნეთის იმედებზე. ლუდვიგმა შენიშნა, რომ თუ ბულგარეთ-საბერძნეთ შორის მდგომარეობა გამწვავდა, გერმანეთი მეფე კონსტანტინეს არ გასცემს. ამაზე რადოსლავოვმა აღშფოთებით შესძახა: „ნუ გეშინიათ, ჩვენ არ ვფიქრობთ საბერძნეთზე თავდასხმას. ჩვენ დავიკავეთ გერმანეთთან მეგობრობა და კარგათაც გვესმის ამ მეგობრობის მნიშვნელობა. თქვენ შეგიძლიათ სავსებით ირწმუნოთ ჩვენ ოთხთა კავშირის სიმტკიცე, რომელ კავშირშიც ჩვენ—ბულგარელები—შემაერთებელ რგოლათ ვითვლებით არა მარტო გეოგრაფიულათ, პსიხოლოგიურათაც.

## ქართული პრესა.

ეხება რა „პოლიტიკურ ობლებს", (ალბათ ჩვენებურ არასოციალისტებს), რომელთაგანაც „ხშირათ გაიგონებთ ხან ხუმრობით, ღიმილით, ხან სერიოზულათ გამოთქმულს: „თავი დაანებეთ სოციალიზმს თქვენი პროგრამის მარტო ნაციონალურ პოლიტიკურ ნაწილზე შეაჩერეთ ყურადღება და ერთად ვიმუშაოთო."—გაზეთი „მეგობარი" ასე გვასწავლის ბ-ნ გ. მაიაშვილის პირით.

ყოველმა სოციალისტმა იცის, თუ კი ის რეალისტია და არა უტოპისტი, რომ მისი პარტიის ზრდა დამოკიდებულია არა მარტო მის ენერგიასა და მაცადინობაზე, არამედ მთელი ხალხის ეკონომიურ და საზოგადოებრივ განვითარებაზე, ხალხის ევოლიუციაზე; მეორე მხრით, განვითარებული სოციალისტი რჩება სოციალისტათ მიუხედავათ იმისა, ხვალ თუ ზეგ მოელის ის თავის რწმენის და იდეალების განხორციელებას. შეუძლებელია ჩვენს დროში კაცმა წარმოიდგინოს ისეთი სოციალისტი, რომელსაც სჯეროდეს, მაგალითად, რომ მისი მოძღვრების განხორციელება მოსახერხებელია ისეთ საზოგადოებაში, რომელსაც საფუძვლად ფეოდალურ-ეკონომიური წესწყობილება უდევს, ან ისეთ საზოგადოებაში, სადაც ბურჟუაზიული ხანა ან არ დაწყებულა სრულიად ან და მარტო პირველ ნაბიჯებს სდგამს წინ. ამის გამო ყოველი ჩამორჩენილი ხალხისთვის ბურჟუაზიული განვითარება წარმოადგენს სასურველ პროგრესიულ მოვლენას და მას სიხარულით შეეგებებს არა მარტო ბურჟუაზიული განვითარების მოტრფიალე, არამედ მისი საბოლოოთ უარისმყოფელიც, არა მარტო ბურჟუაზიის მომხრე, არამედ მშრომელი ხალხის, დემოკრატიის დამცველიც, ვინაიდან ბურჟუაზიული განვითარების პროცესს ორი მხარე, ორი მიმართულება მოსდევს: ერთი პირით ის მიმართულია ბურჟუაზიისკენ, მისი კეთილდღეობის დამკვიდრებისაკენ, ხოლო მეორეთი ის [illegible] და სამოქმედოთ იწვევს მშრომელ ხალხს, რაზმავს მას საბრძოლველათ, თავის მიზნების მისაღწევათ.

თუ ამნაირი ხასიათისაა ეს პროცესი, თუ პროცესს ორი მხარე შეემჩნევა, უსათუოდ ორივე მხრის ორივე ნაწილის განვითარებას თავისი საკუთარი მომუშავე სჭირდება, ორნაირი იდეოლოგია არის საჭირო და ამნაირი იდეოლოგიის მატარებელი ძალებიც უნდა იქნეს, ე. ი. ორი სხვა და სხვა ჯგუფი, ორი და არა ერთი პარტია.

ჭეშმარიტებისა და ნათელი აზრის წინააღმდეგ ვის რა ეთქმის, მაგრამ თუ „რეალისტობა" მაღლა სდგას „უტოპისტობაზე", თუ „შეუძლებელია ჩვენს დროში კაცმა წარმოიდგინოს ისეთი სოციალისტი, რომელსაც სჯეროდეს, მაგალითად, რომ მის მოძღვრების განხორციელება მოსახერხებელია ისეთ საზოგადოებაში, რომელსაც საფუძვლათ ფეოდალურ-ეკონომიური წესწყობილება უდევს, ან ისეთ საზოგადოებაში, სადაც ბურჟუაზიული ხანა ან არ დაწყებულა სრულიად, ან და პირველ ნაბიჯსა სდგამს წინ,"—რითი უნდა აიხსნას, რომ მთელი საქართველო „გასოციალისტდა" და ჩვენებური „სოციალისტები" გასაქანს არ აძლევენ იმ პოლიტიკურ ობლებს", რომელთა მოღვაწეობა უფრო სასარგებლო იქმნებოდა „ჩვენის ქვეყნისათვის, „**სადაც ბურჟუაზიული ხანა ან არ დაწყებულა სრულიად ან და პირველ ნაბიჯსა სდგამს წინ**"? (ხაზი ჩვენია) ან რას უყურებენ ეს „პოლიტიკური ობლები", რატომ არა მოქმედებენ და სხვის სახვეწურათ რათ იდიან საქმეს?

ჩვენ კი გვგონია, რომ საზოგადოთ ჩვენებური „სოციალისტობაცა" და ჩვენებური „პოლიტიკური ობლობაც" ვაივაგლახისაა. უუფლებო და სხვის ხელის შემყურებელი ერის ჯგუფებისათვის პარტიული დავა და შუღლი მხოლოდ [illegible] თავის პირად ბატონობისა და ეროვნულ უქნარობის დასაფარავად ხმარებული.

## ჩვენ შორის.

### IV

ყველას უნდა მოეხსენებოდეს, რომ ქართველი ხალხი, ქართველი ერი, იყოფა ორ—ერთი მეორისაგან დაშორებულ ჯგუფათ. ერთს მხარეს სდგას უმრავლესობა—გლეხობა, მუშები, ხელოსნები, დღიური ლუკმის მაძიებელნი—ქვეყნის მარჩენალნი—მაგრამ ყველასაგან მივიწყებულნი: ფშავნი, ხევსურნი, მოხევე—გუდა—მაყრელნი, თუშნი და ინგილონი, კახნი და ქართველნი, იმერელნი, გურულნი, მეგრელნი, აფხაზნი, სვანნი, რაჭა-ლეჩხუმელნი, აჭარა-ქობულეთელნი, მესხნი და ჯავახნი, ლაზნი და მთლად ქართველი მაჰმადიანობა. ეს უმრავლესობა სცხოვრობს თავისთვის, თავისებურათ. აქვს თავისი საკუთარი წესი და ადათი ჩვეულება და ხასიათი; აქვს თავისებური წარმოდგენა რჯულზედაც, ღმერთზედაც, სამართლიანობაზედაც; აქვს თავისი იდეალი, თავისი რწმენა, [illegible] სიცოცხლისა, ურთ[illegible] წოდებული რუსული ცივილიზაცია მას არ მიეკარებია და გაყინული იმ წერტილზე, სადაც მოასწრო ისტორიის სუსხმა, სცხოვრობს მხოლოდ იმედით, იმედით მომავლისა. მას სწამს, რომ მოვა ვინმე ჰაბუკი, დაავლებს ხელს ბაზალეთის ტბის ძირას ჩადგმულ აკვანს, გაზრდის, დაავაჟკაცებს ხალხოსნურ გმირს და მაშინ ყველას შვება მიეცემაო.

მეორე მხარეს კი სდგას—უმცირესობა: მღვდლები, მასწავლებლები, ექიმები, ვექილები, ჩარჩები, ვაჭრები, პლუტოკრატია და არისტოკრატია, ნასწავლები, დიპლომიანები—ერთი სიტყვით ყველა ის, ვინც ზიარებულა რუსეთის თუ ევროპის განათლებას, ვინც იწოდება „მარილად, მხსნელად ქვეყნისა, ვინც მოვალეა, როგორც ბევრის მქონებელმა, ბევრიც მისცეს ხალხს, გაუძღვეს წინ, გაუნათოს ბნელი, გააშუქოს წყვდიადი, გაანათლოს ხალხი, შექმნას ახალი ცხოვრება, ცხოვრება ადამიანური, საზოგადოებრივი, რითინაც იცხოვროს და სხვაც აცხოვროს...

მაგრამ სწორეთ აქ ჩნდება ის უფსკრული, ის ღრანტე, რომელიც ამოუთხრია ჩვენის ისტორიის უკუღმართობას, აქა სჩანს ის ზღუდე, რომელიც გაუვლია მონობას, ბატონ-ყმობას, კაპიტალს, ცრუ განათლებას, მშობლიურ ნიადაგიდან მოწყვეტას, გადაგვარებას და გათახსირებას.

ერთით რომ კაცმა ყური დაუგდოს ჩვენ პრესას, ჩვენს ლაპარაკს, ჩვენს გარეგნულ ურთიერთობას დ დაუკვირდეს ასე ვსთქვათ, ოფიციალურ მხარეს ჩვენის ცხოვრებისას,—ასე ეგონება საქართველო და ქართველი ხალხი უკვე შესდგომია გაევროპიელების გზაზე და სულ ახლო მომავალში რაიმე ბედნიერებასაც ელირსებაო. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებაა, მხოლოდ გარეგანი, ბრჭყვიალა ფარსია, ერთგვარი ევროპიული „მუნდირია", რომლის ტარებაც ასე გვშვენის და რომლის ქვეშაც იმალება ჩვენი აზიურ-მონური სული და გული, ჩვენი უკულტურობა, ჩვენი მარტოოდენ ფაფხური და ვიწრო ცხოველური ეგოისტობა.

ტყუილად კი არ ამბობს გულნატკენი ქართველი ხალხი, თავის გადაგვარებულ მოძმის შესახებ:

„ღმერთმა ქართველი კაცი ცხენზე ნუ შესვასო, თორემ ყველაფერი დაავიწყდებაო". და მართლაც აბა დაუკვირდით იმ ქართველებს (უმრავლესობას, რასაკვირველია, თორემ გამონაკლისი ყველგან

## ქართული ენის გაკვეთილები.

### პირველდაწყებით სკოლებში.

კარგ ნიადაგზე მდგარ სკოლებშია ჩვენი ხსნა. და სკოლა თავის დანიშნულებას შეასრულებს მაშინ, როდესაც მასში იქნება სულ პედაგოგიურ ნიადაგზე დამყარებული, ნაციონალური აღზრდა. თუ პატარა ბელგია განათლების მხრით მაღლა სდგას, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ იქ დაწყებითი სკოლები თავის დანიშნულებას ემსახურებიან, სწავლა ნაციონალურია და სამშობლო ენას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ.

თავისუფალი ყოველგვარი ცენტრალიზაციისაგან ბელგიის სახალხო სკოლა მჭიდროთ შეკავშირებულია ბელგიის ეკონომიურ სოციალურ ცხოვრებასთან და სავსებით ემსახურება თავის დანიშნულებას—სკოლა ცხოვრებისათვის—. ჩვენში კი ყველა ამავეს ვერ ვხედავთ—სკოლა მოკლებულია ნაციონალურსა და სოციალურ მნიშვნელობას. ამისთვის არის საჭირო მოვითხოვოთ ჩვენი უფლებების აღდგენა, ნაციონალური მთლიანობის შენარჩუნება. ამისთვის არის საჭირო, რომ ჩვენი მოწინავე გულშემატკივარი ელემენტები გვერდში ამოუდგნენ სახალხო მასწავლებლებს, გაუწოდონ მათ ძმურათ ხელი და ასეთი შეერთებული ძალით ვეცადოთ შევქმნათ ისეთი პირობები, სადაც სკოლა ლოზუნგათ გაიხდის—სკოლა ცხოვრებისთვის.

პრესისა და საზოგადოების ერთი ყურადღება დღეს მიქცეულია სამშობლო ენის დასაცავათ ჩვენს სკოლებში. ბევრ ცხარე წერილებს ათავსებენ ჟურნალ გაზეთებში და გადაგვარებულ მასწავლებლებს შესაფერად ეპყრობიან, თუმცა ბევრი მეტსაც შვრება და სახალხო მასწავლებლებს, განურჩევლათ, არა სასურველი ეპიტეტებით ამკობენ. მიუხედავათ ამისა, იმედებს ვამყარებ მასწავლებელთა უმეტესობაზე და ვფიქრობ, ისინი გამოფხიზლდებიან და თავიანთ სიმაღლეზე დადგებიან. საამისო დრო დადგა, სკოლასა და ახლა მის ხელმძღვანელებს ცხოვრება დიდ მოთხოვნილებებს უყენებს და მასწავლებელიც ვალდებულია ანგარიში გაუწიოს საზოგადოებას და მის ამოძახილ პრესას, რაიც მოითხოვს გათვითცნობიერების გზაზე დადგომას. თუ ისინი ასე არ მოიქცევიან, იმ შემთხვევაში საზოგადოება მათ წინ გაუსწრებს და, უკან ჩამორჩენილი მასწავლებელი თავის წოდებას, თუ ასეთი ოდესმე ჰქონდა, დაკარგავს. მე მინდა შეძლებისდაგვარათ პასუხი გავსცე იმ კითხვას, რომელიც წინ უდგას ყოველ ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულ მასწავლებელს. კითხვა ეს არ არის 81 წლის პროგრამის დაცვა, რაზედაც ბევრი მელან-ქაღალდი დაიხარჯა და შეიძლება აწიც დაიხარჯოს. ჩემი წერილის მიზანია დაახლოვებით აღვნიშნო ის სასწავლო მასალა, რომელიც, ჩემის აზრით, მაინც უნდა იქმნას დამუშავებული, რომ სკოლა თავის დანიშნულებას ემსახუროს და ნამდვილი მოქალაქე მისცეს სამშობლოს.

არას ვიტყვი იმ მასალის შესახებ, რომელიც უნდა გავლილ იქმნას დაწყებითი სკოლის პირველ განყოფილებაში, რადგანაც ამისთვის გვაქვს მშვენიერი სახელმძღვანელო „დედა-ენა"—წიგნი პირველი და აგრეთვე ბ. გუბლაძის დარიგება, თუ როგორ უნდა შევასწავლოთ ქართული ენა სახმო წესით.

მასწავლებლებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ ბ. გუბლაძის დარიგებით და დედა-ენის I წიგნი რიგიანათ გაიარონ, რის შემდეგ ბავშვებმა იციან წერა-კითხვა. მხოლოთ არ შემიძლია გვერდი ავუარო იმ გარემოებას, რომ „დედა-ენაში გვხდება ისეთი სიტყვები, რომელთაც პროვინციალური ეწოდება და, რადგანაც სახელმძღვანელოში პროვინციალიზმი არა სასურველია, როგორც მრავალ მოწაფისათვის გასაგებათ მიუწდომელი, ან გამოტოვებული უნდა იქმნას, ან რიგიანათ ახსნილი. ასეთები ძლიერ ცოტაა სახელმძღვანელოში და მათი გამოტოვება, თუ აიხსნება, საქმეს არ შეაფერხებს.

თუ რომელ სახელმძღვანელოზე უნდა გადავიდეთ I ნაწილი დედა-ენის შემდეგ, ამის შესახებ ორი აზრი არ არსებობს და როგორც გაგრძელება გადავდივართ II ნაწილზე დედა-ენისა. სწორეთ აქ იწყება ზოგი მასწავლებლის სიზარმაცე, რომელსაც რუსულში ლექსიკურ განყოფილებას იწყებს და ქართულს ნაკლების ყურადღებით ეპყრობა. დედა-ენაში II ნაწ. ძლიერ მდიდარი მასალაა ქართული ენის შესასწავლათ, მხოლოთ საჭიროა ეს მდიდარი მასალა სასარგებლოთ გამოვიყენოთ: თითოეული მოთხრობა და ლექსი, გარდა ორიოდ გამონაკლისისა, რიგიანათ უნდა იქმნას დამუშავებული. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მასწავლებელმა სასაუბროებს, ეს ერთი ათად ზრდის დედა-ენის ღირებულებას. სასაუბროებში მოთავსებული მასალები უდიდესი განძია ენის შესასწავლათ და გასავითარებლათ.

თუ მასწავლებელი ამ განძს (სასაუბროებს) ხეირიანათ დაამუშავებს და თითოეულ რიგს სავარჯიშოებისას საუბრის სახით გაიმეორებს, მისი მოწაფეები დედა-ენის გათავების შემდეგ კარგი მომზადებულნი იქნებიან და მათთან საუბარი ადამიანს სიამოვნებას მოგვრის.

გრამატიკა, როგორც საგანი, დედა-ენისა თავის დროზე იწყება: უსულო საგანი, თვისება და მოქმედება; ამის შემდეგ უნდა განაგრძოს მასწავლებელმა გრამატიკის სწავლება, მაგრამ აუცილებლათ უნდა ვერიდოთ ამისთვის განსაკუთრებულ გაკვეთილების დანიშვნას. მასწავლებელმა არ უნდა დაივიწყოს, რომ გრამატიკის შესწავლას მაშინ აქვს მნიშვნელობა და მიზანსაც მაშინ მიაღწევს, როდესაც ის ისწავლება პრაქტიკულათ.

ამიტომ საჭიროა მასწავლებელმა თავიდგანვე ავარჯიშოს ბავშვები ბრუნვების და მიმოხრის პრაქტიკულათ შესწავლაში. ალაპარაკოს ბავშვები სწორი-ქართული ენით და მიაჩვიოს სიტყვის ნაწილების წინადადებებში ხმარებას, თითოეული გრამატიკული შეცდომა საუბრის დროს გასწორებული-იქნას. შეიძლება შემინიშნონ: ეს ყოველმა მასწავლებელმა იცის და რაც ყველასათვის აშკარაა იმაზე ლაპარაკი და წერაც ზედმეტიაო. მართალია, ყოველი მასწავლებელია ვალდებული ეს იცოდეს, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ თავიანთ მოვალეობას ვერ ასრულებენ, ან არ ასრულებენ:

უცხო ენის სწავლების დროს ყოველივე მეთოდები იციან, ხოლო, როდესაც საქმე სამშობლო ენას შეეხება, მაშინ სრულ უვიცობას იჩენენ.

საჭიროა მასწავლებელმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს, თავს ძალა დაატანოს და სამშობლო ენის გაკვეთილებს ისეთივე სერიოზულათ მაინც მოექცეს, როგორც უცხო ენას.

საბუნებისმეტყველო შინაარსის მოთხრობები „დედა-ენაში" საფუძვლიანათ უნდა იქნას შესწავლილი, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობისათვის. თუ კი მასწავლებელი მოინდომებს და ოდნავ თავს შეიწუხებს ამ ძვირფასი მასალებით ძლიერ დაინტერესდებიან ბავშვები. ამ მოთხრობების გავლის დროს სწორეთ იმ ასაკშია ჩვენი მოწაფეები, როდესაც მათ თავის თავად ებადება: როგორ აკეთებენ, კარანდაშს, მელანს ქაღალდს დ სხვა... ამის შემდეგ, ეს იქნება მესამე განყოფილებაში სამოსწავლო პირველ ნახევარში, გადავდივართ „ბუნების კარზე".

დიახაც ეს სახელმძღვანელო „კარია ბუნების", რადგანაც მისი საშუალებით ჩვენი მოწაფეები ეცნობიან ბუნებას, უახლოვდებიან, ითვისებენ და, თუ შეიძლება ასე ითქვას, სწავლობენ მასთან საუბარს. თავისის სამშობლოს ბუნების რიგიანათ შესწავლა სკოლის ერთი დანიშნულებათაგანია, სკოლამ უნდა შეასწავლოს ბავშვებს ბუნებასთან ბრძოლა და მით სარგებლობა. თუ როგორ მდგომარეობაშია დღეს ბუნებისმეტყველების სწავლების საკითხი ჩვენ სკოლებში—ეს ყველამ კარგათ ვიცით. მიზეზები ამისი ბევრია, მაგრამ მე აქ არ გამოუდგები ჩამოთვლას და ვიტყვი მხოლოთ, რომ სანამ ყველა დაბრკოლებას თავიდან ავიცილებდეთ და ბუნების შესწავლის საკითხს თავის საფეხურზე დავაყენებდეთ, საჭიროა საბუნებისმეტყველო განყოფილებას „ბუნების კარში" შეძლებისდაგვარათ ყურადღება მივაქციოთ. აქ თვალსაჩინოება ჩვენს ხელშია: დიდი უმეტესობა იმ ცხოველებისა და მცენარეებისა, რომელიც „ბუნების კარში"-ა აწერილი, ჩვენ მოწაფეებს უნახავს ან ადვილათ შეგვიძლია ვაჩვენოთ. მაგრამ აუცილებლათ უნდა ვერიდოთ მშრალ კითხვას (რომელიც ჩვენი მასწავლებლების სენია) და ცოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის), რომელთაც რაიმე წარმატება მისცემიათ ცხოვრებაში, როგორ იქცევიან, როგორ ატარებენ დროს, რას აკეთებენ, რას ფიქრობენ და რა სწადიათ?..

ავიღოთ, მაგალითად, რომელიმე ქართველი დიდი მოხელე, რომლისთვისაც ბედს გაუღიმნია და გამხდარა ერთ-ერთ სახელმწიფოებრივ დაწესებულების უფროსად. მას შეუძლია ადვილი მისცეს ათსა და ოცს პატიოსან მშრომელ ქართველს, შეუძლია დააპუროს და გამოჰკვებოს ოცი და ორმოცი ოჯახი, ტანჯვისა და მწუხარების ცრემლი მოსწმინდოს ქვრივსა და ობოლს, მაგრამ... ასეთი ქართველი თავის თანამოძმეს ახლოაც არ გაიკარებს, ყველა ქართველებს სამსახურიდანაც კი დაითხოვს, რომ მისმა მომავლინებელმა „არა კეთილ საიმედობა“ არ შესწამოს, „ჩინსა“ და პატივს არ მოაკლოს. იგი მზად არის არამც თუ გამოესარჩლოს ქართველებს, პირიქით უარსა ჰყოფს თავის ქართველობაზედაც-კი.

ხოლო, როცა დაბერდება, ძალა და ღონე გამოელევა, ან პენსიურს ამოჰკრავენ და გამოაგდებენ, მაშინ გაპატრიოტდება ხოლმე, მაგრამ ლაქიობაში გაზდილი სულით მაინც დაკნინებულია და ანგარებით აღსავსე, ყველას ისევ გროშებითა, შთამომავლობითა და მდგომარეობით ზომავს.

— სმირნა! რავნიაისა! აი ის პრინციპი, რომელიც მას შეაქვს ცხოვრებაში... თვითონ საპყარი, დაკნინებული გადაგვარებული ოჯახის პატრონი, —სხვას უკიჟინებს უსაქმურობას და გადაგვარებას.

აი, სწორედ ასეთ ტიპების შესახებ ამბობდა ხოლმე ჩვენი უკვდავი პოეტი:

„დაბერძაღლდი უნიჭობით,
გსურდა ვერ ჰპოვე ჩინი,
ყველას ფეხ-ქვეშ უგორდები,
როგორც, რომ წუწკი ფინია“,

ავიღოთ, ახლა მეორე ტიპი, ტიპი სილარიბეში გაზრდილის „განათლებულის“, დიპლომიანის“ ქართველისა...

ვ'თქვათ, რომელიმე ღარიბ-ღატაკი დიაკვნის შვილი, სხვის ნასუფრალით გაზრდილი, მლიქვნელობითა და ლაქიობით სწავლა-დამთავრებული სასულიერო სემინარიაში, ათავებს უმაღლეს სასწავლებელს... გამოდის ცხოვრებაში, ღებულობს რომელიმე თანამდებობას და... მაშინვე ივიწყებს ღმერთს.

„ბურსაკი, უზნო, ულაზათო, უხმო თევზი და უტყვი არსება „ტუტუცი ხდება ნაჩალნიკებთან“, მაგრამ თავისიანებს კი ჰკვიანად ელანდება. მისი აზრია გაძღეს, გათბეს, მოეწყოს, —და მერე თავი გამოიჩინოს... კაი კაცობით კი არა— „ცოდნით, სწავლით, ყბედობით, უფროსობით“! ის კარგათ გრძნობს, რომ უვიცი ქვეყანა მხოლოდ ლუკმაა მოსათლელი, მისი წრე მონაა საპყარი, მონა ლუკმა პურისა, და იეზუიტობაში გაზრდილი, იეზუიტურათაც იქცევა ცხოვრებაში.. ოხრავს როგორც „მამულიშვილი“—როცა სიტყვა პატრიოტობაზე ჩამოვარდება, კვნესის, როცა აუწერელ ქვეყნის გაჭირვებას და ნიანგის ცრემლებსა ღვრის, როცა უფროსი მოუკვდება—თუმცა გულში იმის ადგილის დაჭერა ენატრება. გადის ხუთი-ათი წელიწადი და თქვენ ხედავთ, რომ „ამ დიპლომიანმა ვირმა“ უკვე მოაწყო თავისი საქმე: შეირთო მდიდარი კაცის გამოთაყვანებული ქალიშვილი. სამი თუ ოთხი სახლი აიღო მზითევში, ბანკში ფულები შეიტანა და... უცხოთ საზოგადო „მოღვაწეთაც“ კი გადაიქცა. ქვას ადარავინ აბრუნებს უიმისოდ: ყველგან არის, ყველგან ერევა, თუ სჩრიან: ზოგან თავჯდომარეთ, ზოგან, გამგეთ, ზოგან წევრათ, ზოგან კანდიდატათ... ისიც დარბის, ბობოქრობს, იბღვირება, იბერება და ქვეყანას უკვე ჰკუას ასწავლის. თავისიანებში პირზე სულ საქართველო აკერია, თუმცა ერთი „ვლადიმირისათვის“ ცხრაჯერ დაიმცირებს თავს და ოცჯერ გაჰყიდის საქართველოს, ლაქლაქებს, ლაქლაქებს მთელი დღე... სწერს კიდეც გაზეთებში, მაგრამ ისეთ წერილებს კი, რომ არავის არაფერი ეწყინოს რა: მაგალითად, ასეთ ტემებზე—„რა არის ქველმოქმედება და რა მნიშვნელობა აქვს მას“. „ჰაერი და წყალი“. „მზის დაბნელება“. და სხვა. გადის კიდევ რამდენიმე წელიწადი და თავისს მსგავსებისაგან დადაფნულ—დაგვირგვინებული ,,იუბილეს'' გამართვას თხოულობს და „ხალხიც“ ის „ხალხი“, რომელსაც ასევე გაუტარებია თავისი ცხოვრება,—სიხარულით ეგებება მის იუბილეს უმართავს დიდ ღრეობას და პირში ეფლიდება ისევე, როგორც თვით იუბილეარი ეფლიდებოდა ხალხს, მასსას, რომლის ჯავრიც, გარწმუნებთ, არასოდეს არა ჰქონიათ, არც იუბილიარს და არც იუბილეს გამმართველთ!...

„და მიდის დღე, მიდის ღამე ამყოფით“. და...

უღირსნი, ეშმაკნი, თვალთ-მაქცნი, მოხერხებულნი, მყვირალანი, უკეთურნი, უსულონი და უგულონი ნელა ნელა იკალათებენ ცხოვრების მეჯლისზე—ლხინობენ, ქეიფობენ სხვის ხარჯზე—ხალხის ხარჯზე და ამავე ხალხს აყვედრიან თავის „ვაჟკაცობას“.

ხალხი, მდაბიო ხალხი კი გაჭირვება დამცირებაში ლევს სულს და ოცნება ტანჯულის ქვეყნისა კვლავ ქვითინებს მაღლა სერზედა—პოეტის თქმისა არ იყოს!...

მსახიობი შ. ხონელი.

(წრევანდელი სეზონის გამო).

როდის მოეღება ბოლო ასეთ ცხოვრებას, როდის დაფასდება მშრომელი კაცი, როდის გაირჩევა თხა—ცხვარისაგან, ან როდის გამოვა მგელი კრავის ტყავიდან, დანამდვილებით ვერავინ იტყვის, ვერ იტყვის იმიტომ, რომ ძალა ჯერ კიდევ პლუტოკრატის ხელშია და სადაც ძალაა, სიმართლეც იქითკენ იხრება... ასე უკუღმართად არის მოწყობილი ჩვენი ცხოვრება.

ღვილოთ კიდევ სხვა მაგალითი...
მაგრამ ამაზე შემდეგ...

ი. ცანი.

# ახალი ამბავი.

## ქუთაისი.

◆ როგორც გუშინ გვქონდა აღნიშნული, ორშაბათს, 12 ოკტომბრის სხდომაზე, თანახმად სამზრუნველო კომიტეტის თხოვნისა, ქალაქის საბჭომ დაადგინა მიეცეს 30 ოთხკუთხი საჟენი მიწა იჯარით ,,ღულაძისეულ'' მოედანზე დასავლეთის მხრით მგოსნის ვაჟა-ფშაველას სახელობის მომავალ ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის შენობის ასაგებად. ამ დღეებში ინჟინერი ბ-ნი ფრიკი მიუზომავს სამზრუნველო კომიტეტს ხსენებულ ადგილს და შეუდგენს მათ პროექტს, რის შემდეგ კომიტეტი აპირებს საკუთარი ბინის აგებას.

◆ ორ კვირაზე მეტია, რაც ძველი ლაგირის და ქვიტირის ქუჩებზე და მათ შესახვევებში ვიღაც მოხეტიალე ღამის რაინდმა ოცდა-ათამდე ფარანი ჩაამტვრია, მას შემდეგ აღარ ინთება და ასეთი უამინდობის დროს მცხოვრებლებს სიბნელეში გვხდება სიარული. შეიძლება ქალაქის გამგეობას არც კი აცნობებს ეს ამბავი მეფარნეებმა!

◆ 13 ოქტომბერს ღამის მატარებლით პეტროგრადს გაემგზავრა ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლი დ. ო. ნიჟარაძე და თავადი აფაქიძე, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო საბჭოს წევრების არჩევანში.

◆ მეფის მოადგილის კანცელარია წინადადებას აძლევს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, რომ დაუყონებლივ გადაიხადოს დეპუტატთა საკრებულომ 4,000 მანეთი ფული ქუთაისის ქართული გიმნაზიის აგების დროს დარჩენილი.

◆ სრულიად რუსეთის დამზღვევი საზოგადოებას გამგეობის კავშირი ატყობინებს ქუთაისის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების კავშირში მიიღოს ქ. ფოთი და ამით უფლება მისცეს ქუთაისის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებას, გაავრცელოს ქ. ფოთში თავისი ოპერაციები ამ,სთან გამოსთქვამს სურვილს, რომ ფოთში გაუმჯობესებული იქნას ცეცხლის მქრობელთა რაზმი და ქუთაისის საზოგადოებამ დახმარება აღმოუჩინოს, რამდენათაც შეიძლება. იმედია, ფოთის საზოგადოება შეეგებება ამ გარემოებას და თანაგრძნობას გამოუცხადებს დამზღვევ საზოგადოებას, რადგანაც დიდი უპირატესობა აქვს შედარებით არსებულ სააქციონერ საზოგადოებებთან, როგორც გადასახადით, აგრეთვე თავის დანიშნულებითაც.

◆ კავკასიის ოლქის კომერციული სასწავლებლების ინსპექტორი ვერხოვსკი უკვე გაემგზავრა თბილისს.

◆ ქუთაისის პოლიცმეისტერი ბ-ნი მახარაძე სთხოვს ქალაქის გამგეობას მიეცეს ხუთ ხუთი მანეთი იმ 45 მეეტლეს, რომლებიც დაქირავებული, იყვნენ 7 ოქტომბერს მეფის მოადგილის ჩამობრძანების დღეს.

◆ ქალაქის სანიტარმა ილია ჩაჩანიძემ ოქმი შეუდგინა კლუბის შესახვევში ელო თავდიდიშვილსა და იასონ ფოფხაძეს უსუფთაობის გამო.

◆ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა ყასბებს: ტარასი გურეშიძეს და ლავრენტი ჯიქიას საქონლის ჩუმათ დაკვლისათვის.

ამავე დღეს გელოვანმა ოქმი შეუდგინა მოვაჭრეებს; ბიჭია მიქიაშვილს, პავლე ჯანგავაძეს, აბრამა იაკობაშვილს და ტარასი ჩიტიეშვილს ბაზრის წესრიგის დარღვევისათვის.

◆ ქალაქის თეატრში, დღეს 15 ოქტომბერს, „ქართული დრამის“ ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად გამოჩენილი ფრანგ დრამატურგის ანრი ბერშტეინის ახალი პიესა „ურიის სახლი“ დრ. 3 მოქ. და ვ. გუნიას მხიარული ვოდევილი „ხოლევერობა“. პიესაში უმთავრეს როლებს შეასრულებენ ბ-ნი ეფ. მესხი, ი. ზარდალიშვილი [illegible] დადიანი.

◆ გუშინდელი დანიშნული ქართველ ებრაელთა სარაბინო კრება სხვა და სხვა მიზეზის გამო 1 ნოემბრისთვის გადაიდვა.

◆ უბედური შემთხვევა ზღვაზე. როგორც ხოფიდან გვატყობინებენ, 1 ოქტომბერს იქ ღელვის დროს დაიმტვრა მატორიანი ნავი და ფელუკა. საშინელმა ღელვამ მოუსწრო ნავს სწორედ იმ დროს, როცა გემიდან გადმოსხმული მგზავრები ნაპირისკენ მოდიოდენ. დაიხრჩო ზღვაში შვიდი კაცი, მათ შორის ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ბართლომე სტეფანეს ძე ჩხაიძე; არც-ერთი გვამი ჯერ არ უნახავთ.

— ბაზრის ზედამხედველმა პ. კორძაიამ ოქმი შეუდგინა საფირჩხიაზე წვრილ მედუქნეებს დ. ალხაზაშვილს (მესამეჯერ) გ. დავითულიანსა და ი. დადუნაშვილს სხვა და სხვა საქონლის მეტ ფასში გაყიდვისათვის.

◆ ქალაქის საქმეთა საკრებულო სთხოვს ქალაქის გამგეობას, შეატყობინოს ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის რომ კახიანოურის მცხოვრებლებისაგან დეპეშების მისატანი ფული არ გადაახდევინონ, რადგანაც კახიანოური ქალაქის ნაწილად ჩაირიცხა.

◆ 14—21 ქუთაისის [illegible] კომისიამ განაწილა სხვა და სხვა სანოვაგისათვის ვაგონები პურის ფქვილი 16 ვაგონი, სიმინდი 5 ვაგონი, მარილი 2 ვაგონი, სხვა და სხვა სანოვაგე 13 ვაგონი.

## სოფლათ.

**დ. ჩახატაურში.** პარასკევს, 2 ოქტომბერს, ადგილობრივ თეატრის დარბაზში მოხდა ახლად გახსნილ უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის სამზრუნველო კომიტეტის კრება. განსახილველი საგანი იყო ა.) საჭირო თანხის გაწერა საზოგადოებაზე ბ.) ბინის შოვნა სკოლისათვის და გ.) დამატებითი საგნების სწავლება ზემოაღნიშნულ სასწავლებელში. ასარჩევი იყო ქართული ენის მასწავლებელი. კანდიდატი იყო ორი, მაგრამ სამზრუნველო კომიტეტი შეთანხმდა და მასწავლებლის არჩევა გადასდო.

— ს. მექვენა (ლეჩხუმის მაზ.) აქ არსებობს წვრილი კრედიტის ბანკი, რომელიც დიდ სამსახურს უწევს ჩვენს გაძვალტყავებულ გლეხობას, რადგანაც გამგეობაში ღირსეული კაცები მოხვდენ.

---

ხალი საუბრით დაინტერესოთ ბავშვი. უნდა გვახსოვდეს, რომ ბუნების შესწავლა არ შეიძლება მარტო წიგნების საშუალებით; თუ რომელიმე საგნის სწავლების დროს საჭიროა თვალსაჩინოება, ყველაზე უფრო ეს—იქნება ბუნების მეტყველებაში.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია ბუნებისმეტყველება გამოვყოთ ქართული ენიდან, რადგანაც სპეციალური გაკვეთილები ამისთვის ჩვენ გვაქვს მხოლოთ უფროს განყოფილებებში, სადაც გვაძლევენ ამ საგნის უცხო ენაზე სწავლებას მასალებიც ისეა დალაგებული „ბუნების კარში“, რომ მასწავლებელს ხელს უწყობს ბუნების მეტყველების შესწავლა დაუკავშიროს ქართულ გაკვეთილებს. მაგალითისთვის ავიღოთ თუნდ „მგელი და სოფელი“ იქ საინტერესოთ არის მოთხრობილი ერთი მგლის თავგადასავალი და მასთან მგელიც კარგათ არის აწერილი: მის შემდეგ, როდესაც მოწაფეები გაეცნობიან მგელს, მოთავსებულია არაკი „მგელი და წერო“ სრულიად ბუნებრივია ასეთი მასალების განაწილება განსაკუთრებით ჩვენი სკოლებისთვის, სადაც ქართული ენის მცირერიცხოვან გაკვეთილებზე უნდა გავიაროთ ბუნების მეტყველებაც, სამშობლოს აღწერა, მოკლე ცნობები ისტორიიდან და გრამატიკა. არაკები აუცილებლათ საბუთიანად უნდა იქნას შესწავლილი; ისე ყოვლად შეუძლებელია რუსული არაკების შესწავლა, თუ წინ არ წარუძღვა მათი ქართულ ენაზე შესწავლა. მეოთხე განყოფილებაში მოწაფეები სწავლობენ ჩვენი მწერლობის მისაწვდომ თხზულებებს (მხატვრულ ნაწარმოებს).

ამ დროს ძლიან სიფრთხილე გვმართებს, რომ ბავშვებს შევაყვაროთ ჩვენი გამოჩენილი მწერლები. ასეთი სიყვარულის აღძვრა მოწაფეებში ჩვენი მწერლებისადმი შეგვიძლია მაშინ, თუ თითოეულ ლექსს რიგიანათ შევასწავლით. კითხვა ლექსებისა უნდა იყოს თქმულების არ იყოს. არამც თუ—„вырозительное, но и заразительное“. მეოთხე განყოფილებაშივე უნდა დავიწყოთ სამშობლოს აღწერა და საქართველოს ისტორია, რასაც განვაგრძობთ ორკლასიანი სკოლის გათავებამდი.

საწერი მასალები ისეთი უნდა გამოვძებნოთ, რომ ბავშვებს გაუღვიძოს თვითმოქმედების, თვითაზროვნების უნარი. ამისთვის სრულიად უნდა უარვყოთ: წიგნებიდან გადაწერა, ზეპირი წერა და კარნახი. ასეთები ბავშს უხშობს აზროვნებას, ხდის უსულო მანქანად და არავითარი მიზანი არა აქვს გარდა იმისა, რომ ავარჯიშებს ასოების წერაში. საწერი მასალები, ისეც მრავალგვარი ხასიათის, შეგვიძლია ვიპოვოთ მაგალ. აღწერა რომელიმე ყურადღების მიმპყრობი საგნის ან მოქმედების, ბუნების მოვლენის, რაიმე შემთხვევის სკოლის ან საკუთარი ცხოვრებიდან, რომელიმე დღესასწაულის აღწერა, სურვილების და რაიმეზე თავისი შეხედულების წერილობითი გამოთქმა და სხვა... ასეთები ბავშს მიაჩვევს თავისუფლათ აზროვნებას, დაკვირვებას და გაუღვივებს შემოქმედებითი ნიჭს. აგრეთვე ურიგო არ იქნება და ბევრად საჭიროც არის ვავარჯიშოთ ბავშვები კერძო ბარათების და საქმის ქაღალდების შედგენაში. ამას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება ჩვენი წერა-კითხვის უცოდინარ მშობლებისთვის.

ყოველივე გრამატიკული შეცდომით წერაში მოხერხებულათ უნდა ისარგებლოს მასწავლებლებმა და განუმარტონ შეგირდების ესა თუ ის კანონი ენის.

არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე დიდი მნიშვნელობა სკოლის გარეშე კითხვის და ვავარჯიშოთ ბავშვები ასეთ კითხვაში. მეხუთე განყოფილებაში შეგვიძლია შეუდგეთ ჩვენი მწერლების უფრო რთულ ნაწარმოებთა გარჩევას. აქ იმდენათ მომზადებული უნდა იყვნენ ჩვენი მოწაფენი, რომ მათ შეეძლოსთ გაგება მხატვრულ ნაწერებისა. თუ ოთხი წლის განმავლობაში შესაფერი ყურადღებით ეპყრობოდენ ქართული ენის გაკვეთილებს, მეხუთე წელიწადს ჩვენ თავისუფლათ შეგვიძლია მივაწოდოთ ჩვენს მოწაფეებს ე. ნინოშვილისა და დ. კლდიაშვილის რჩეული ბელეტრისტული ნაწარმოებნი. მხოლოდ ამ ნაწარმოებთა ზეზეურათ გავლა სარგებლობის ნაცვლათ ზიანს მოუტანს ჩვენს შეგირდებს, რადგანაც ისინი თავისით ასეთ თხზულებათა გაგებას ვერ შეძლებენ და საუბედუროთ შეიძულებენ ჩვენს მწერლებს. რამდენიც უნდა აკითხო ბავშვებს „პალესტინის ტბა“. მათში ვერ აღძრავ ასეთი ნაწარმოებისადმი სიყვარულს, თუ არ განუმარტავ დედა აზრს და განსაკუთრებითი ყურადღებას არ მიაქცევ ზოგ შესანიშნავ ადგილებს; და თუ ვერ შევძლებთ ჩვენი მწერლებისადმი სიყვარული აღუძრათ ბავშვებს, მაშინ უმჯობესია ნუ ჩავდგებით ცოდვაში და ნუ მოვისურვებთ ნორჩთაობა დავღალოთ უმნიშვნელო დროს გასატარებელი კითხვით.

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეპყრათ რაფ. ერისთავის იმ ლექსებს, რომლებშიც იხატება გლეხის სიხარული და გაჭირვება. ამ მწერლის ლექსებს შემდეგ მიზანშეწონილი იქნება კოლცოვის ლექსების გავლა; მხოლოდ როდესაც ორივეს გავივლით, უნდა შევადაროთ ერთმანეთს კოლცოვი და რ. ერისთავი და ავუხსნათ ბავშვებს ის მსგავსება და განსხვავება, რომელიც არსებობს ამ ორ სხვა და სხვა ეროვნების მწერალთა შორის; ამ ორ მწერალთა შედარებით (ლექსებთა შედარებით) ბავშვებს შეუძლიათ გაეცნონ რუსის გლეხებს და მათ ზნე ჩვეულებათ. ილიას „კავკავიდან ტფილისამდე“ ს გავლა შესაძლებლათ ხდის ვასწავლოთ ბავშვებს პუშკინის „Путешествіе въ Эрзерумъ“. დიდ მასალას იძლევა ეს ორივე ნაწარმოები მთიულების ცხოვრების აღსაწერათ. მაგრამ პირველის საბუთიერათ შესწავლა აუცილებლათ უნდა წარუძღვეს მეორეს.

ორიოდე სიტყვა ბელეტრისტულ ნაწარმოებთა შესწავლის შესახებ. ასეთების სწავლება ხანდიხან მეტის მეტ უნუგეშო მდგომარეობაშია: მაგალითად, მასწავლებელს სურს გაიაროს დ. კლდიაშვილის „სოლომონ მორბელაძე“. ის ყოფს ამ თხზულებას ნაწილ-ნაწილათ და ავალებს ბავშვებს, რომ დაისწავლონ „მოთხრობით I, II, III და სხვა ნაწილები ასეთი მეთოდი ყოვლად უაზროა და მასწავლებელმაც არ უნდა მიმართოს მას. თუ კითხვა, როგორც წინათ მოვიხსენიე, იქნება „заразительное“, მაშინ მოწაფეები მასწავლებლის დახმარებით გადმოგვცემს მოთხრობის შინაარსს და შემდეგ კი უნდა დავამუშაოთ. მხოლოთ მოთხრობა-კი ბაკი მთლიანათ უნდა იქნას წაკითხული, უნდა ვავარჯიშოთ ტიპების დახასიათებაში, დავასახელებინოთ უნდა მათის შეხედულობით სიმპატიური და არა სიმპატიური პიროვნებანი მოთხრობიდგან, მოვათხრობინოთ უფრო შესანიშნავი ადგილები წაკითხულში და სხვა. ამრიგათ მასწავლებელი ვალდებულია ყოველივე ღონისძიებით ეცადოს შეაყვაროს თავის მოწაფეებს ერის სიამაყე მწერლები. ილია, აკაკი, რაფიელ, კლდიაშვილი, ნინოშვილი და სხვანი. მწერლების შესწავლასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ ქართული ენის სიწმინდისა და სისწორის დაცვა და გრამატიკის შესწავლისთვის ვიზრუნოთ.

მე, როგორც წინათ ვსთქვი, საჭიროთ მიმაჩნია, რომ გრამატიკა ისწავლებოდეს პრაქტიკულათ, რადგანაც ასეთი წესით გრამატიკის სწავლებას მეტი ნაყოფი შეუძლია გამოიღოს. მეხუთე განყოფილებაშივე უნდა დასრულდეს ქართული ისტორიის მოკლე კურსი. აგრეთვე საპატიო ადგილი უნდა ქონდეს დათმობილი სამშობლოს აღწერას. ეს, რასაკვირველია, ადრევე იწყება, მაგრამ უკანასკნელ განყოფილებაში განმეორებულ უნდა იქნას. თუ აღნიშნული მასალები რიგიანათ იქნება დამუშავებული, სკოლა მისცემს საზოგადოებას ერთგვარი დასრულებული ცოდნის მქონე ადამიანებს, რომელთაც შემდეგში შეეძლებათ ცხოვრებას უკან არ ჩამორჩენ.

თუ მასწავლებლის სურვილი იქნება, საქმისადმი სიყვარული და ცოტა ენერგია, ამას შეძლებს და საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს. ამხანაგებმა ერთმანეთი უნდა აიძულონ, რომ ეს მინიმუმი ცხოვრებაში გაატარონ და მით ოდნავი სიყვარული გამოიჩინონ თავის სამშობლოსადმი. ნუ იქნება სკოლა გადამგვარებელი! ნუ წაართმევენ მასწავლებლები მოზარდ თაობას სამშობლო ენას, რომელზედაც პირველათ დაიწყეს ტიტინი! ნუ იკისრებენ ჯალათობას! გვახსოვდეს: „რა ენა წახდეს ერი დაეცეს...“ ხელი შევუწყოთ ხალხის სიცოცხლეს, ერის არსებობას!

ს. ბ—ძე.

გამგეობას მიზნად აქვს ბანკის სადგომში მოათავსოს განზრახული არჩილ ჯორჯაძის სახელობის უფასო წიგნსაცავსამკითხველო.

— ამას წინად აქ დაარსდა კერძო აფთიაქი ვ. ახვლედიანისა.

— სოფ. ასილაურში ამ დღეებში ჯიბილო ლორთქიფანიძის სახლში იპოვეს მოკლული მოსამსახურე ქალი სალომე. თვით ლორთქიფანიძეც სადღაც მიიმალა.

## ჩვენი სკოლები

### და უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებლები.

ვინც ჟურნალ-გაზეთებს ადევნებს თვალყურს, ის შენიშნავდა და თითქმის ყოველდღე ამოიკითხავს ცნობებს იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ქვემო იმერეთსა და გურიაში, ხალხი ყოველ კვირაში ადგენს განაჩენებს და იღებს წლიურად ხარჯებს ახალი ტიპის პირველდაწყებითი ოთხკლასიანი სასწავლებლების დასაარსებლად. ქუთაისის მაზრაში ამ ორიოსამი თვის განმავლობაში პოლიციის ნაწილის ბოქაულების ინიციატივითა და თანადასწრებით ასეთი სასწავლებლების დაარსების შესახებ შესდგა განაჩენები ფარცხანაყანებისა, ვანისა, დიდი-ჯიხაიშისა და ტობანიერის საზოგადოებაში. ყველგან საზოგადოებამ მიიღო თავისთავზე 3-5 ქცევა ადგილის შეძენა, სასწავლებლის შენობის ასაგებათ ნახევარი ხარჯის გაღება და ამასთანავე ყოველწლიურად ხაზინაში 1000 მანეთის შეტანა სასწავლებლის საოჯახო საჭიროებისთვის. თუმცა ხაზინამ თითოეულს ასეთ სასწავლებელს უნდა დაახარჯოს წლიურად შვიდი ათას მანეთამდე, მაგრამ ომისა გამო, ზოგგან თვითონ საზოგადოებამ იკისრა დღეს-დღეობით მთლად სასწავლებლის შენახვა და ამა სასწავლო წლიდან კიდევაც გახსნეს პირველი ორი კლასი. ამ გვარად სწავლა უკვე დაიწყო დიდი ჯიხაიშისა და ამაღლების სასწავლებლებში და მალე შეუდგებიან ვანის საზოგადოებაშიაც.

როგორც ხედავთ, ჩვენი სოფლების გაღატაკებული ხალხი საგრძნობ თანხას ხარჯავს დღეს სწავლა-განათლების საჭიროებისათვის. ასეთი სასწავლებლების გარშემო დღეს დავა არის ატეხილი; პრესაშიც ხშირად ვკითხულობთ პროტესტებს, რადგანაც ბევრი ამ ტიპის სასწავლებლის გამრავლებას არა სასურველად სცნობს იმისა გამო, რომ ამ სასწავლებლებში სამშობლო ენას ჯეროვანი ადგილი არა აქვს მიქცეული, იგი არა სავალდებულო საგნებთა რიცხვშია მოთავსებული, კვირეში ორი გაკვეთილის მეტი არა აქვს დათმობილი, ქართველ მოსწავლეებს გადაგვარების გზაზე აყენებს და დაბალ „ჩინოვნიკებად“ ამზადებს და სხვა... ერთი მხრით საყურადღებო და სასიამოვნოა ის მოვლენა, რომ სოფლის ხალხმა შეიგნო სწავლის მნიშვნელობა; ყველა ცდილობს თავიანთი შვილები სიბნელიდან გამოიყვანოს და ცხოვრება გაუადვილოს, მაგრამ ამავე დროს იბადება კითხვა, ასეთი ტიპის სასწავლებლებს შეუძლია სასურველი ნაყოფის მოტანა და ეკონომიურად მათი ცხოვრების გაუმჯობესება?! ჩემი აზრით, ამ სასწავლებლებში კურს დასრულებული ყმაწვილების სამი ნაწილი მაინც დარჩება გარიყული, რადგან იგინი კურსის დამთავრების შემდეგ ვერც საშუალო სასწავლებლებში განაგრძობენ სწავლას უსახსრობისა გამო, ვერც სამოქალაქო სამსახურში იშოვიან ადგილს მცირე განათლებისა გამო და არც სოფლებში ევარგებიან თავიანთ ოჯახებში მუშადა და მეურნედ, რადგან გადაჩვეულნი შემდეგ მუშაობას სირცხვილად მიიჩნევენ. ჩვენი კუთხე, ყველას მოეხსენება, სამეურნეო ქვეყანაა, მიწის ნიადაგი და ბუნება ხელს გვიწყობს, მაგრამ ჩვენ ჩამორჩენილი ვართ მეურნეობაში და ეს არის უმთავრესი მიზეზი ჩვენი ეკონომიურად დაქვეითებისა; ამის გამო უფრო ხელსაყრელათ და საუმჯობესოდ უნდა ჩავთვალოთ ჩვენ სოფლელებისათვის სამეურნეო და სახელოსნო სასწავლებლების დაარსება გამრავლება, სადაც სოფლის ბავშვები ერთად საზოგადო განათლების საგნებთან შეისწავლიან მეურნეობას და სხვა და სხვა ხელობას.

ამ გვარად ისინი ასეთი ტიპის სასწავლებლებში მიიღებენ იმდენ განათლებას, რამდენიც საკმაო იქნება მეურნეობის სხვა და სხვა დარგის მოსახმარებლად ანუ რომელიმე ხელობის გამოსაყენებლად. მაშინ, როგორც დღეს ყველა ქალაქში აღარ გაიქცევა, ბევრი სოფლად დარჩება, მეურნეობას, ე. ი. მიწის დამუშავებას, მევენახეობას, მეაბრეშუმეობას და სხვას მოჰკიდებს ხელს, თავის ოჯახსაც სიღარიბიდან გამოიყვანს და სოფელსაც ეკონომიურად წინ წასწევს. ყოველივე კარგი, მაგრამ ვინ შეაგნებინებს ხალხს, რომ ისეთი ტიპის სასწავლებლები უფრო ხელსაყრელი და გამოსადეგია მათთვის?! განა ასე ადვილათ დაიჯერებ მათ?! მათ რომ დაეკითხოთ, ქართული ენაც კარგად იციან და მეურნეობაც და ასეთი სკოლებისათვის ხარჯს ვერ გაიმეტებენ. ამას წინად, როდესაც ს. ვანის საზოგადოება ადგენდა განაჩენს უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებლის დაარსების შესახებ, იქაურმა ინტელიგენტმა პატივცემულმა ვ. ა—მა წინადადება მისცა ხალხს, რომ ისეთი სასწავლებელი მოეთხოვათ, სადაც სამშობლო ენასაც ადგილი ჰქონებოდა, ამაზედ ხალხმა უპასუხა: „ჩვენ ქართული ენა როდი გვჭირია, ჩვენ გვსურს ჩვენმა შვილებმა რუსული ისწავლონო, რომ ცხოვრებაში და სამსახურში გამოადგეს მათო.“

ამასთანავე ჩამოითხოვეს და უთხრეს მას: „გეტყობათ თქვენ არ გინდათ სიკეთე ჩვენთვის, მთავრობა სასწავლებელს გვიხსნის და თქვენ ხელს გვიშლითო“ და სხვა.

სამშობლო ენის მნიშვნელობა შეუგნებელ ხალხს რომ არ ესმოდეს, ეს არ შეადგენს დიდ დანაშაულობას მათთვის; აქ დამნაშავენი არიან ჩვენი დეპუტატები, რომლებიც დაესწრნენ სათათბიროში დაბალ სასწავლებელთა ამგვარი ტიპის შემუშავების დროს და სამშობლო ენა სხვა საგნებთა შორის სავალდებულო საგნად არ გახადეს საქართველოს სკოლებში. დღეს ასე უცებ ვერ შევაგნებინებთ ხალხს სამშობლო ენის საჭიროებას და მარტო ერთოდე ინტელიგენტმა რომ უკიჟინოს სოფელს დღევანდელი სკოლების ტიპის უვარგისობაზე, მთავრობაც მას ცუდის თვალით შეხედავს.

ისევ უნდა ვეცადოთ ყველამ, რომ ხალხმა, თავის მხრითაც დაკვირვების შემდეგ, თანდათან მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და შეიგნოს, როგორც სამშობლო ენის საჭიროება, აგრეთვე ისიც, თუ როგორი ტიპის სასწავლებელი უფრო გამოადგება მას ცხოვრებაში დღევანდელი პირობების დროს. რაც შეეხება ზოგიერთთა აზრს, რომ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელთა დასაარსებლად, როგორც არასასურველი ტიპისა, დღესვე ხალხმა ხარჯი არ უნდა გამოიღოს, ეს უხერხულად მიმაჩნია იმიტომ, რომ მთავრობა ფულს აძლევს ხალხს სასწავლებლის დასაარსებლად და როგორ არ უნდა მიიღოს. ხოლო საჭიროა ქართველმა საზოგადოებამ აღძრას შუამდგომლობა მთავრობასთან, რათა სამშობლო ენაც სავალდებულო საგნად ითვლებოდეს ამ სასწავლებლებში

**ლადო ბზვანელი.**

## პროვინციის ცხოვრება.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

**ს. ხიდისთავი** (გურია) ფრიად სასიამოვნო მოვლენაა, რომ სოფლის მშრომელმა მასსამ კოოპერატივების საჭიროება შეიგნო და დღითიდღე მათ რიცხვს ამრავლებენ. ყველა კუთხე ცდილობს დაიარსოს თავისი საკუთარი კოოპერატივი. ეს გარემოება კი ცოტა არ იყოს დამაფიქრებელია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში საჭიროა გათვალისწინება იმისა, თუ რა ძალა არის საჭირო, რომ კოოპერატივი მკვიდრ ნიადაგზე დადგეს და თავის მიზანს მიაღწიოს. საჭიროა რამდენიმე სოფელმა, რომელიც ერთმანეთთან ახლოს არის, ერთი კოოპერატივი დაიარსონ დიდი თანხით, კარგი ხელმძღვანელით, რომ შესაფერათ დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნილება, თორემ პატარა თანხით და დამოუკიდებლათ არსებული კოოპერატივი ჯეროვან კონკურენციას ვერ გაუწევს მოვაჭრეებს და ადრე თუ გვიან მოისპობა, ხალხი კი ისევ ჩარჩ-ვაჭრების ხელში ჩავარდება.

ბასილეთის საზოგადოებაში უკვე სამი კოოპერატივია და კიდევ აპირებენ რამდენიმეს გახსნას. ეს გარემოება შეგნებულ ძალებს აქუცმაცებს და კოოპერატივებს სათანადო ხელმძღვანელობას ვერ გაუწევენ. ერთის დაარსებით კი ყველა ძალას შემოიკრებდენ და კოოპერატივის საქმეც მკვიდრ ნიადაგზე დადგებოდა.

— —

**ხაჭარა** (შორაპნის მაზ.). რაც აგრონომ სტაროსელსკიმ აქ სანერგე გამართა, ადგილობრივი მცხოვრებნი ვენახების მოვლა-გაშენებას შეუდგნენ. უნდა ითქვას, კარგ ღვინოსაც აყენებდენ და მით თავის აურაცხელ მოთხოვნილებას იკმაყოფილებდენ. წელს შაბიამნის სიძვირისა და ცუდი ამინდების გამო ღვინო სრულებით არ მოსულა. არც სიმინდის მოსავალი იყო კარგი. მცხოვრებლებს რომ შიმშილი მოელის—ეს არავისათვის საეჭვო არაა. იმედგაცრუებულმა გლეხებმა არ იციან როგორ დააღწიონ თავი ამ უბედურებას. საჭიროა დახმარება, მაგრამ ვინაა პატრონი. მარჩიელ-მკითხავების გამრავლება და ხალხის უდიერი ყოფა ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. ამას ზედ დაერთო ქურდ-ბაცაცებისა და ყაჩაღების გამრავლებაც, რომელნიც მოსვენებას არ აძლევენ ისედაც აწიოკებულ ხალხს. საჭიროა მეტი ყურადღება ადმინისტრაციისა.

— —

**რაჭა.** ამ უკანასკნელ ხანებში რაჭაში ყაჩაღობა ძლიერ გახშირდა. იყო სამი შემთხვევა გაძარცვისა: ბორველ მამასახლისს სათადარიგო ჯარის კაცების ოჯახებისათვის დასარიგებელი ფული 200 მანეთი წაართვეს, 24 სეკტემბერს მოკლეს კავკავიდან დაბრუნებული ებრაელი დავით კაკრიაშვილი და რაც რამ ებადა წაიღეს. გაძარცვეს კვაშხეთელი მებაირნე ცეცაძე და მძიმეთ დასჭრეს. წაართვეს 400 მანეთი. ყაჩაღების კვალი ჯერ ვერ მიუგნიათ. საჭიროა ენერგიული ზომების მიღება ხალხისა და მთავრობისაგან მათ ასალაგმავათ.

— —

**ხონი.** ხონი სანოვაგის გაძვირებით სხვა დაბებს არ ჩამოუვარდება. მშვიდობიანობის დროს კი სანოვაგე ყველა დაბაზე იაფათ იშოვებოდა აქ. წინათ ხონის ბაზრიდან დიდძალ ხილს მიეზიდებოდენ სხვადასხვა ქალაქებისკენ, წელს ხილის ძლიერ მცირე მოსავალი იყო და ისე მცირე შემოდის ბაზარზე, რომ ადგილობრივ დაბის მცხოვრებლებსაც ძლივს აკმაყოფილებს. მეხილეობა ხონის რაიონისთვის კარგი შემოსავლიანი წყაროც იყო. გაჭირვებულ ხალხს წელს ეს წყარო შემოსავლისა მოაკლდა.

## ბ. ტ. ს. გამოვყვე სამედიატორო სასამართლოში?

ჩემიერ გაზ. „სამშობლოს“ № 194-ში მოთავსებულ პატარა წერილს ისე გაუბრაზებიხარ ბ. ტ. ს., რომ ფუტკრის დანაკბენ ადამიანს წააგავს. ეს უმაწვილი იმას მაგიერ, რომ შეცდომაში დამნაშავეთ იცნოს თავი,— გამომდგარა და ქვეყანას უმტკიცებს,—მე მართალი ვარ, ვიდაც ჭორიკანა „Аврора“-ს არ დაუჯეროთ, ის ცილს მწამებსო.

ამ საბრალოს ისიც კი მოუსურვებია, რომ „ავრორა“-ს პიროვნება გაიგოს, რათაც უნდა დაუჯდეს, მაგრამ, როგორც იტყობინებიან ამ ცდას ჯერჯერობით უნაყოფოთ ჩაუვლია.

ბატონი ტ. ს. სამედიატორო სასამართლოში მიწვევს და წინადადებას მაძლევს დავუმტკიცო მას, რომ იგი „ბუტ. გეს.“ მუშაობს და ამავე დროს „სახ. გაზეთსაც“ აწყობს. და ეს იმ დროს, როცა უმუშევარის შოვნა შეიძლება. დიდის სიამოვნებით გეთანხმებით იმ მოთხოვნაზე, რომელიც შეიცავს, მხოლოდ იმის დამტკიცებას, რომ თქვენ, მართლა ერთსაც და მეორესაც აწყობ, მხოლოდ, რაც შეეხება სამედიატორო სასამართლოში გამოსვლას, უნდა მოგახსენოთ პირდაპირ, რომ, რადგან თქვენ პიროვნების გაგებაში ხართ დაინტერესებული და გინდათ მხოლოდ პიროვნება შეიტყოთ, ამიტომ მე დავამტკიცებ ზემოხსენებულ ბრალდებებს პრესის საშუალებით.

ბ. ტ. ს. თქვენ ბრძანებთ: მართალია ვმუშაობ „ბუტ. გეს.“ მაგრამ მტკნარი სიცრუეა, თითქოს მეორე ადგილი დამებანდებიოს. ა. კოხრეიძემ მთხოვა და მივეხმარეო და ხს.

მე მამაცხონებულის შვილო, თუ შენ არ აწყობდი და პასუხის მგებელი არ იყავი, მაშ რათ მიგყავდა პატარა ბავშვი და იხმარებდი სამუშევარზე? იქნებ ამ ბავშვსაც ა. კოხრეიძემ სთხოვა?

და თუ გინდ დაგეთანხმები ერთ წუთს ამაში, რომ მართლა ეხმარებოდი, მერე რა გსურთ ამით სთქვა? ნუ თუ შენ „შეგნებულმა“ მუშამ ვერ მიხვდი, რომ ამ შენი მიხმარებით ხაზეინს წელს უმაგრებდი იმ ადგილთ ამხანაგების წინაღმდეგ, რომლებიც უკვე გამოჩნდნენ შენდა უნებლიეთ?

შენ ამბობ: „ქუთაისში ამ დროებით უმუშევარი ასოთ-ამწყობი არ მოიპოვებაო.“ მაგრამ ჭეშმარიტება მაინც გასაქანს არ გაძლევს და დასძენ: „არ მოიპოვება, მაგრამ კი მოიპოვება ერთი უმუშევარი დ. დ—ძეო. მაგრამ ჩემთვ-ს არ უთხოვია და გულში ხომ არ უზივარ მას, რა ვიცი უნდა მუშაობა თუ არაო. განა „შეგნებულმა“ მუშამ ეგრე უნდა იმსჯელოს? თქვენ ბრძანებთ: „როდესაც ალ. კოხრეიძეს მიხმარება აღუთქვი ჟურნალზე, სხვათა შორის, ვკითხე, რატომ დ. დ—ძეს არ იხმარებ მეთქი.“ მხოლოდ ამ დროს გ. ჯ—ძეს წამოცდენია, რომ მუშაობა დაიკოს არ სურდებია და შენც ამ მოჭორილ ამბავზე დამყარებულხარ და შენი აზრი სისრულეში მოგიყვანია, ე. ი. იმუშავე.

ახლა მოგმართავთ, როგორც „შეგნებულ“ მუშას გვიპასუხოთ:—ვინ ყოფილა ჭორიკანა, „ავრორა“, თუ თქვენ? სად ნახე შენ ისეთი მუშა, რომელსაც მუშაობა არ უნდოდეს?

ის ხომ მუშა არ იქნება? დ. დ—ძეს შეიძლება მართლაც იმ დღეს არ ემუშავნა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მას შემდეგშიაც მუშაობა არ უნდოდეს.

ამის დამოწმებას დ.—საგან მე არ ვითხოვ, რადგან სასაცილო იქნება მუშას—ხელოსანს ვუთხრა: შენ მუშაობა არ გინდოდა და მეც იმიტომ მივეხმარე ალ. კოხრეიძესო.

ბ-ნო ტ. ასეთი თვალთმაქცობით ვინ გინდა მოატყუო? შენ ყველაფერათ შეიძლება კარგი იყო, მხოლოდ ამ საქმეში კი დამნაშავე ხარ.

ყველა ზემო ნათქვამის შემდეგ გამოგყვე სამედიატორო სასამართლოში? ეს ხომ წყლის ნაყვა იქნება. არა, ბ-ნო „შეგნებულო“ მუშავ, ჩემის აზრით საკმაოთ დამტკიცებული და შეურყეველი ის ფაქტი, რომელიც ზემოთ არის ნათქვამი.

„Аврора“

## ვაი ცოდვის ბრალი!

(პასუხათ „აბელს“)

გაზ. „სამშობლოს“ № 195-ში „სამედიატორო სასამართლოში გამოვიწვიე ამავე გაზეთის ჭორიკანა კორესპონდენტი ვიდაც „Аврора“ „სამშობლოს“ 194 №-ში მოთავსებულ ცილის წამებისათვის. ჯერ კიდევ კორესპონდენტი არ ვიცი ეთანხმება თუ არა ჩემს წინადადებას, და ვიდაც არა-მკითხე „აბელი“ მაპასუხებს კორესპონდენტის მაგივრათ „სამშობლოს“ 156 №-ში. საკვირველია, რომ არ იყოს, მე ჩემს წერილში არც „აბელი“ მახსენებია და არც სხვა და ამ უკანასკნელს საიდან მოეწონა, რომ მე მის წინააღმდეგ ვწერ? მაგრამ ნათქვამია: „ქურდს ქუდი ეწვოდა“, ვინც პიპილს სჭამს, პირიც მას ეწვება.

„აბელი“ ამბობს: „ტრ. ს-აა ადგილს ებღაუჭება და ეს იმისთვის რომ თუ ერთი დაიხურა მეორე დარჩებაო“. ესეც სასაცილო. 15 წელიწადია ასოთ ამწყობი ვარ, ვინ იცის ჩემს ხელში რამდენი გაზეთი დახურულა თითქმის სტამბაც კი და მე უმუშევარი არ დავრჩენილვარ და რადა ეხლა მუშაობას ვუფრთხი, როდესაც ამწყობის მოთხოვნილება ერთი ორათ არის გაორკეცებული.

„აბელი“ ამბობს: [illegible] მუშებს ვუვლეფავდი, მუშები გამეფიცნენ და სხ. (მოდი და ნუ გაგეცინება) ჯერ ერთი რომ ამას დამტკიცება უნდა, მაგრამ ვსთქვათ, რომ მართალია, მე სამი წლის უკან მუშებს ვუვლეფდი. თქვენ ბ-ნო „აბელო“ თუ სამი წლის უკან თქვენ ჩემში შეამჩნიეთ არა მუშური საქციელი ამდენხანს სად ბრძანდებოდით. რატომ არ დამგმეთ? მეორე, თქვენ ასეთმა „შეგნებულმა“ მუშამ სამი წლის შემდეგ რად ჩაიდინეთ სიცუდე და რათ წაართვით „სამუშაო სხვებს. სამი წლის უკან ასეთმა „განვითარებულმა“ დღეს რად ჩაიდინეთ ყველასაგან დასაგმობი საქციელი? სამ წელიწადს გონებრივათ წინ უნდა წასულიყავი, თუ ცხოვრებას უკან ჩამორჩი? სამწუხაროა თქვენი საქციელი და უფრო სამწუხარო კიდევ ის არი, რომ დღეს როდესაც განსაკუთრებულ პირობებში ვცხოვრობთ, ათასი საჭირ-ბოროტო საკითხები წამოაყენა ცხოვრებამ გასარჩევათ, ასეთ დროს გაზეთის ფურცელი თქვენისთანა ბაღდების ნაჯღაბნით ჭრელდება. ვწუხვარ, რომ მეც ვაცდენ გაზეთის სვეტებს და ისიც თქვენისთანა ბაღდის გულისათვის, მაგრამ მკითხველმა აბა რა იცის (გარდა ქუთ. მუშებისა), რომ თქვენ ბაღდის მესადარისიც კი არ ხართ?

ვაცხადებ საყოველთაოდ რომ ას.-ამწ. ბ-ღ-მ-ძე-ჯ-ძეებთან არავითარი საერთო არა მაქვს და არც შემიძლია მქონდეს, მას შემდეგ, რაც თქვენ ადგილობრივ მუშებს სამუშაოზე შეეცილეთ, აშკარა შტრეიკბრეხერობა ჩაიდინეთ, თქვენი საქციელი როგორც პრესაში, ისე ამხანაგ მუშებში დაგმობილი იქნა, სამედიატორო სასამართლომ დამნაშავეთ გიცნოთ თქვენმა არჩეულებმა არა მუშური საქციელი დაარქვეს თქვენს მოქმედებას და მათი სამართლიანი განაჩენი უსირცხვილოთ ფეხ-ქვეშ გასთელეთ ამის შემდეგ შეიძლება თქვენს ახლოს ყოფნა ბ. „აბელო და კომ.? თქვენ მუშაობთ იმიტომ რომ ნამუშევარი ფული კარტ კამათლებსა და არღნებში გაფლანგოთ, მე კი იმისთვის რომ წვრილი ოჯახი და ცოლშვილი გამოვკვებო და სხვა რომ არ იყოს ესეც დიდი განსხვავებაა*)

ეს ჩემი უკანასკნელი პასუხია „აბელო“ და კომპ. თქვენზე, ამით თქვენთან ვსპობ ყოველგვარ პოლემიკას. თქვენ-კი რამდენიც გნებავთ უღლაბნეთ და ბეჭდეთ, მე მხოლოდ თუ წაკითხვა არ დამეზარა—ვიცინებ.**)

**ას. ამ. ტრ. ს-ია.**

---

*) „ჩემი შენ გითხარი, გული მოვიკალიო“ და ასეა. დიდი ხანი არ არის თვით ბ. ტრ. ს—ასთან საგანგებოთ მიწვეული ვიყავით რამოდენიმე პირი საბანქოოთ. და ძველი ორგანიზატორი დაბეთ როგორ უკარნახებს სხვებს! და ნუ თუ დაგავიწყდა ტ. ს., რომ როდესაც მოიგებდი, წიწილებს სჭამდი და რომ წააგებდი, შენს თავს აყენებდი სასჯელს და მთელი კვირის განმავლობაში ხმელა პურით გადადიოდი? ან და ის „მაღალი გასართობი“, რომელიც ძირს დეპეშებს აწყობდი და მაღლა კი მანათიან „აროკს“ იძახოდი? და ყოველივე ამის შემდეგ შენ სხვებს კიცხავ?

**ასოთ-ამწ.**

**) ამ წერილში ბევრი გადაჭარბებული სიტყვებია ნახმარი, მაგრამ სხვა ნაირი კილო წერისა ბევრს მათგანს არ ეხერხება. **რედ.**

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია
ალექსანდრე ი. კოსტავასი
ტფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.
ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეთული ყოველგვარი მატერიები.
**რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
დიდი იაფი ვაჭრობა
ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.
რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.
პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.
თვ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა“
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ალ. კოზრიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან